

შპს დაფნა

**ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისთვის**

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3 – 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა განმარტებითი შენიშვნები	10 – 39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს დაფნას მფლობელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “დაფნას” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე პერიოდის დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული პერიოდის დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (“ასს”) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი (“IESBA Code”), ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს კანონით დადგენილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და სხვა პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით, თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომისიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ოპერაციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

2022 წლის 3 ივნისი



შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	5	18,345,293	18,849,815
არამატერიალური აქტივები		5,963	-
		<u>18,351,256</u>	<u>18,849,815</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	12,923,296	12,679,209
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	16,815,189	12,204,468
დაკავშირებული მხარის მიმართ მოთხოვნები	8	-	1,225,311
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	9	3,091,826	1,299,750
		<u>32,830,311</u>	<u>27,408,738</u>
სულ აქტივები		<u>51,181,567</u>	<u>46,258,553</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	10	7,500,000	7,500,000
გადაფასების რეზერვები		12,926,528	13,170,286
გაუნაწილებელი მოგება		16,711,558	10,120,134
		<u>37,138,086</u>	<u>30,790,420</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	11	327,410	520,917
		<u>327,410</u>	<u>520,917</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები	12	6,022,822	13,035,616
საიჯარო ვალდებულებები	11	206,989	171,754
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,172,715	1,297,231
დაკავშირებული მხარის მიმართ ვალდებულებები	8	6,313,545	442,615
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>13,716,071</u>	<u>14,947,216</u>
სულ ვალდებულებები		<u>14,043,481</u>	<u>15,468,133</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>51,181,567</u>	<u>46,258,553</u>

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება (შესადარისი ინფორმაციით), დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 3 ივნისს.

ვუგარ არაბოვი
დირექტორი

თანდართული შენიშვნები 10-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	5	18,345,293	18,849,815
არამატერიალური აქტივები		5,963	-
		<u>18,351,256</u>	<u>18,849,815</u>
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
მარაგები	6	12,923,296	12,679,209
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	16,815,189	12,204,468
დაკავშირებული მხარის მიმართ მოთხოვნები	8	-	1,225,311
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	9	3,091,826	1,299,750
		<u>32,830,311</u>	<u>27,408,738</u>
სულ აქტივები		<u>51,181,567</u>	<u>46,258,553</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი	10	7,500,000	7,500,000
გადაფასების რეზერვები		12,926,528	13,170,286
გაუნაწილებელი მოგება		16,711,558	10,120,134
		<u>37,138,086</u>	<u>30,790,420</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
საიჯარო ვალდებულებები	11	327,410	520,917
		<u>327,410</u>	<u>520,917</u>
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	12	6,022,822	13,035,616
საიჯარო ვალდებულებები	11	206,989	171,754
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,172,715	1,297,231
დაკავშირებული მხარის მიმართ ვალდებულებები	8	6,313,545	442,615
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>13,716,071</u>	<u>14,947,216</u>
სულ ვალდებულებები		<u>14,043,481</u>	<u>15,468,133</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>51,181,567</u>	<u>46,258,553</u>

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება (შესადარისი ინფორმაციით), დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 3 ივნისს.

ვეგარ არაბოვი
დირექტორი

თანდართული შენიშვნები 10-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

	შენიშვნა	2021 ლარი	2020 ლარი
შემოსავალი		113,347,014	108,005,790
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(91,105,324)	(87,591,442)
საერთო მოგება		22,241,690	20,414,348
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	14	(11,369,052)	(9,528,070)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(3,546,021)	(5,490,981)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	17	26,986	94,406
საპროცენტო ხარჯი		(1,270,305)	(89,009)
სხვა წმინდა შემოსავალი		264,368	146,140
წლის მოგება დაბეგვრამდე		6,347,666	5,546,834
მოგების გადასახადი	16	-	-
წლის მოგება		6,347,666	5,546,834
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის განმავლობაში მიღებული სრული შემოსავალი		6,347,666	5,546,834

თანდართული შენიშვნები 10-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
კაპიტალის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გადაფასების რეზერვი ლარი	გაუნაწილებე ლი მოგება ლარი	სულ კაპიტალი ლარი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,500,000	13,414,044	4,329,542	25,243,586
წლის მოგება	-	-	5,546,834	5,546,834
წლის სრული შემოსავალი	-	-	5,546,834	5,546,834
დამატებითი ცვეთის ეფექტი	-	(243,758)	243,758	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,500,000	13,170,286	10,120,134	30,790,420
წლის მოგება	-	-	6,347,666	6,347,666
წლის სრული შემოსავალი	-	-	6,347,666	6,347,666
დამატებითი ცვეთის ეფექტი	-	(243,758)	243,758	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,500,000	12,926,528	16,711,558	37,138,086

თანდართული შენიშვნები 10-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

	შენიშვა	2021 ლარი	2020 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება დაბეგვრამდე		6,347,666	5,546,834
<i>არაფულადი და არასაოპერაციო ერთეულების კორექტირებები:</i>			
ცვეთა	5	814,480	891,254
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		77	-
მარაგების ანარიცხის შემცირება	6	134,455	(59,065)
საექვო ვალების ანარიცხი/(შემცირება)	7	(227,481)	169,483
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ზარალი		82,386	-
არარეალიზებული საკურსო სხვაობის ზარალი/(მოგება)	17	(26,986)	(94,406)
საპროცენტო ხარჯი	23	1,270,305	89,009
		8,394,902	6,543,109
<i>ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</i>			
მარაგები		(378,542)	(3,263,223)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(4,429,581)	(1,054,763)
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან		1,183,227	(674,248)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(100,067)	(265,469)
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ		6,099,221	(12,807,984)
გადახდილი პროცენტი	23	(1,283,099)	(53,393)
საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრები		9,486,061	(11,575,971)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა აქტივის გამოყენების უფლების გარდა		(385,647)	(539,255)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6,040)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		14,529	-
საინვესტიციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრები		(377,158)	(539,255)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება/(დაფარვა)	23	(7,000,000)	13,000,000
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	23	(198,297)	(179,302)
საფინანსო საქმიანობით წმინდა ფულადი სახსრები		(7,198,297)	12,820,698
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ცვლილება		1,910,606	705,472
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(118,530)	84,910
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		1,299,750	509,368
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლო	9	3,091,826	1,299,750

თანდართული შენიშვნები 10-39 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

1 იურიდიული სტატუსი და ზოგადი ინფორმაცია

შპს დაფნა ("კომპანია") არის რეგისტრირებული თბილისში (საქართველო).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საყოფაცხოვრებო საქონლისა და საკვები პროდუქტების იმპორტი სხვადასხვა ქვეყნებიდან და მათი დისტრიბუცია საქართველოში.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი იყო 7,500,000 ლარი (2020: 7,500,000) და იგი მფლობელებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება:

	2021	2020
	%	%
Anadolu Investment Company, აზერბაიჯანი	100%	100%
	100%	100%

კომპანიის 100%-იან წილს ფლობს აზერბაიჯანში რეგისტრირებული შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანადოლუ ინვესტმენტ კომპანი. 2021 წლის 13 იანვარს შეიცვალა კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. ცვლილების შემდეგ, ახლად აბდოლბარი გოზალ (აზერბაიჯანის მოქალაქე) გახდა კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე (2020 წლის 31 დეკემბერი: ლეილა კურტ გოზალ).

კომპანიის იურიდიული მისამართია: ისანი-სამგორის რაიონი, ლილოს დასახლება, (05/004), თბილისი, საქართველო.

2 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. გარდა ამისა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულ ანგარიშებს.

3 ახალი და შესწორებული სტანდარტების დანერგვა

3.1 ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ძალაში შედის 2021 წლიდან

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("IASB") მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2021 წლის 1 იანვრიდან.

სტანდარტი

სტანდარტის ან ინტერპრეტაციის აღწერა

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

სხვადასხვა

საპროცენტო განაკვეთის შეფასების ეტაპი 2 (ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 16-ში, ფასს 4-ში, ფასს 7-ში)

3.2 სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გაიცა რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია მანამდე.

ამ არსებული სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში, შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის ან შემდგომ
ბასს 16	ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული შემოსავალი მიზრობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2022
ბასს 37	წაგებიან ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები (ბასს 37-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2022
ფასს 3	კონცეპტუალურ ჩარჩოებთან დაკავშირებული საწარმოთა გაერთიანებები (ფასს 3-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2022
	ფასს-ის 2018-2020 წლების ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება	1 იანვარი 2022
ბასს 8	საღირცხვო პოლიტიკა, ცვლილებები საღირცხვო შეფასებებში და შეცდომები (ბასს 8-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2023
ბასს 1	მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ბასს 1-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2023
ფასს 17	სადაზღვევო ხელშეკრულებები (ფასს 17-ის ცვლილებები)	1 იანვარი 2023
ფასს 10	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 ინვესტიციები შეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, დაკავშირებული აქტივების გაყიდვასთან ან ინვესტიციების შენატანთან (ფასს 10-ის ცვლილება)	ძალაში შესვლის თარიღი გადაიდო განუსაზღვრელი ვადით

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადების მიღება მოხდება კომპანიის საღირცხვო პოლიტიკის პირველი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან, ან მას შემდეგ. მენეჯმენტი არ ითვალისწინებს მოცემული სტანდარტებითა და დამატებებით გამოწვეულ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ზოგადი მიმოხილვა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად შეჯამებულია ქვემოთ და შესაბამისობაშია წინა წელს გამოყენებულ პოლიტიკასთან.

4.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

საოპერაციო და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის საოპერაციო და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

4.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის ადგილზე მიტანისა და სხვა აუცილებელ ხარჯებს, რომლებიც საჭიროა ძირითადი საშუალების სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. სათანადო მდგომარეობაში მოყვანა გულისხმობს იმას, რომ ხელმძღვანელობა შეძლებს მის სურვილისამებრ გამოყენებას.

ეს აქტივები შეფასებულია თვითღირებულების მოდელის მიხედვით, ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ ძირითადი საშუალების ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, გარდა მიწისა და შენობებისა, რომლებიც აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რომელიც თავის მხრივ ტოლია გადაფასებულ ღირებულებას მინუს შემდგომი დაგროვილი ცვეთა და შემდგომი გაუფასურების ზარალი. გადაფასება ტარდება რეგულარულად, რაღა საბალანსო ღირებულება დიდად არ განსხვავდებოდეს ანგარიშების თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებისგან ანგარიშგების თარიღისათვის.

აქტივების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ზრდა, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით, კრედიტდება გადაფასების რეზერვის ანგარიშზე, სხვა სრული შემოსავლების გავლით. ზრდა აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ თანხით, რომლითაც ხდება გადაფასების ზარალის უკუგატარება, რომელიც მანამდე ასახული იყო მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

აქტივების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით, აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების ზარალი დებულება გადაფასების რეზერვის ანგარიშზე, გადაფასების ნამეტის კრედიტული ნაშთის ოდენობით.

ცვეთა აღირიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა მოხდეს ცვეთადი ღირებულების ხარჯად აღიარება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

- | | |
|---------------------------------------|------------------------------------|
| • შენობები | 20 – 25 წელი |
| • საწარმოო დანადგარები | 10 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალება | 10 წელი |
| • ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობები | 5 წელი |
| • აქტივის გამოყენების უფლება | სანამ მოქმედებს იჯარის ვალდებულება |

ნარჩენი ღირებულება შეფასებულია სასარგებლო მომსახურების ვადის მეხედვით, რომლის განახლებაც ხდება საჭიროებისამებრ. არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან აღიარების შეწყვეტიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს შეძენილ სავაჭრო ნიშნებს, რომელიც კვალიფიცირდება არამატერიალურ აქტივად აღიარებისთვის. ისინი აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, სადაც კაპიტალიზებული ხარჯები და მისი ნარჩენი ღირებულებები განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. გარდა ამისა, ისინი ექვემდებარება გაუფასურების ტესტირებას, როგორც ეს აღწერილია 4.5 შენიშვნაში. ამორტიზაცია აღიარებულია წრფივი მეთოდით სავაჭრო ნიშნების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ის ჩართულია „საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში“.

4.5 არაფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტი

გაუფასურებაზე ტესტირების მიზნებისათვის, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, სადაც დიდწილად არსებობს დამოუკიდებელი ფულადი სახსრები (ფულადი სახსრების გამომამუშავებელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივი არის დატესტილი ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი აქტივის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების გამომამუშავებელი ერთეულის დონეზე.

ყოველ ინდივიდუალურ აქტივს ან ფულად ერთეულს უტარდება ტესტირება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები და გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება შეიძლება ვერ ანაზღაურდეს.

მპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რითაც აქტივის ან ფულადი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება აღდგენით ღირებულებას, რომელიც თავის მხრივ არის უდიდესი სამართლიან ღირებულებასა და გამოყენებით ღირებულებას შორის. გამოყენებითი ღირებულების გასაანგარიშებლად, მენეჯმენტი აფასებს ყოველი ფულადი ერთეულისგან მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს და აღგენს შესაბამის საპროცენტო განაკვეთს, რათა დაადგინოს ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მონაცემები, რომლებიც გამოიყენება გაუფასურების ტესტის პროცედურისთვის პირდაპირ კავშირშია კომპანიის საბოლოო ბიუჯეტთან, რომელიც არ შეიცავს მომავალი რეორგანიზაციისა და აქტივთა გაუმჯობესების ეფექტს. დისკონტირების ფაქტორები განისაზღვრება ინდივიდუალურად, თითოეული ფულადი მუხლისთვის და ასახავს მათი მომავალი რისკის პროფილებს, ისეთი, როგორიცაა ბაზარი და აქტივებთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები.

ყველა აქტივი შემდეგში ისევ ფასდება, თუ არსებობს მინიშნება იმაზე, რომ აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის უკუგატარება კეთდება, როდესაც ფულადი ერთეულის აღდგენითი ღირებულება აღემატება მის საბალანსო ღირებულებას.

4.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე და თავდაპირველად ფასდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ოპერაციის ხარჯები.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება: ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) ან სამართლიანი ღირებულებით მოგება--ზარალში (FVTPL).

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

მპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

სავალო ინსტრუმენტები შეფასებულია FVOCI -ით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისთვის, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად აირჩიოს სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები OCI-ში. არჩევანი კეთდება ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც შეფასებულია FVTPL-ში.

გარდა ამისა, თავდაპირველი აღიარებისთანავე, კომპანიამ შეიძლება შეუქცევადად აღიაროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზირებული ღირებულების ან FVOCI-ის მეშვეობით აღიარების კრიტერიუმებს, როგორც FVTPL-ის მეშვეობით თუ ამით მნიშვნელოვნად შეამცირებს ან აღმოფხვრის აღრიცხვის შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნება.

ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანია აფასებს ბიზნეს მოდელის მიზნებს, რომელშიც აქტივი ინახება პორტფელის დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვას და ინფორმაციის მიწოდებას მენეჯმენტისთვის.

შეფასება, არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მოგების

შეფასების მიზნებისათვის, “ძირი” განისაზღვრება როგორც სამართლიანი ღირებულება ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას. “მოგება” განისაზღვრება ფულის დროში ღირებულებით და საკრედიტო რისკით, რომელიც დაკავშირებულია დარჩენილ ძირითად თანხასთან დროის გარკვეული მონაკვეთისათვის და სხვა ფინანსურ რისკებთან და ხარჯებთან (მაგ: ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე როგორც მოგების მარჟასთან.

მპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შეფასებისას, არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მოგების გადახდის, კომპანია განიხილავს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს მოიცავს შეფასებას, შეიცავს თუ არა ფინანსური აქტივი შეზღუდვებს ხელშეკრულების შესაბამისად, რომელსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დრო ან ოდენობა ისე, რომ იგი ვერ დააკმაყოფილებს ამ პირობას.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გარდა იმ პერიოდისა, როდესაც კომპანია ცვლის თავის ბიზნეს მოდელს ფინანსური აქტივების მართვისთვის.

გაუფასურება

კომპანია აღიარებს გაუფასურების ანარიცხების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) ფინანსურ აქტივებზე ამორტიზებული ღირებულებით.

კომპანია აფასებს გაუფასურების ანარიცხებს ECL-ის ტოლი ოდენობით, გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებზეც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა შემთხვევაშიც შეფასებულია 12-თვიანი ECL.

12-თვიანი ECL არის ECL -ის ნაწილი, რომელიც გამოწვეულია ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მოვლენებით, რაც შესაძლებელია ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

ECL-ის შეფასება

ECL არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი, რომელიც იზომება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არიან გაუფასურებული კრედიტით საანგარიშგებო თარიღისთვის: როგორც ფულადი სახსრების დეფიციტის მიმდინარე ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც კომპანია მიიღებს).
- ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია კრედიტით საანგარიშგებო თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები:

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია აფასებს, არის თუ არა ფინანსური აქტივები აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სესხის ფინანსური აქტივები აღრიცხული FVOCI-ით, გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი არის "კრედიტით გაუფასურებული", როდესაც მოხდა ერთი ან მეტი მოვლენა, რომელიც საზიანო გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის სავარაუდო ფულად ნაკადებზე.

მპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, კომპანიამ გამოიყენა სტანდარტის გამარტივებული მიდგომა და გამოითვალა ECL, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. კომპანიამ ჩამოაყალიბა რეზერვების მოდელი და გამოიყენა საშუალო დეფოლტის განაკვეთები მენეჯმენტის საუკეთესო შეფასებით, მსგავსი საკრედიტო რისკის პროფილის ფინანსური აქტივებისათვის. ბანკში ფულადი სახსრების საკრედიტო რისკი უმნიშვნელოდ ითვლება, რადგან კომპანია ინარჩუნებს ფულადი სახსრების ნაშთებს რეპუტაციის მქონე ბანკებთან, გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგით BB-, Fitch-ის მიხედვით.

ჩამოწერა:

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები და სავალო ფასიანი ქაღალდები აღრიცხული FVOCI-ით ჩამოიწერება (ნაწილობრივ ან სრულად), როდესაც არ არსებობს აღდგენის რეალისტური პერსპექტივა. ეს ძირითადად იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც კომპანიამ ამოწერა ყველა იურიდიული და დამხმარე ძალისხმევა მომხმარებლებისგან აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოწერილია, კვლავ შეიძლება დაექვემდებაროს სააღსრულებო აქტივობებს, რათა შეესაბამებოდეს კომპანიის პროცედურებს დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

გაუფასურების წარდგენა

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის ანარიცხი გამოიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, ფინანსურ საიჯარო ვალდებულებებს და დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელ თანხებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. როდესაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა იგი მხედველობაში არ მიიღება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მისი ნეტო თანხის ასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღრიცხული თანხების გაქვითვის იურიდიულად დადასტურებული უფლება და არსებობს ანგარიშსწორების განზრახვა ნეტო საფუძველზე, ან თუ აქტივის გაყიდვა და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად ხდება

4.6 მარაგები

მარაგები აღირიცხება ფასსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის გასაყიდ ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები. მარაგის ღირებულება განისაზღვრება ფიფო მეთოდით.

4.7 ფული და ფულადი ექვივალენტები

მპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ფული და მისი ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც მარტივად გადაიცვლება ნაღდი ფულის გარკვეულ ოდენობაზე და მისი ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა. ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები ბალანსში მოცავს ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე რიცხულ თანხებს და აღირიცხება საბაზრო ღირებულებით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშებზე რიცხული ყველა თანხა, კლასიფიცირდება როგორც ფულის ექვივალენტი.

4.8 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული კაპიტალის ღირებულებას.

გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგებასა თუ ზარალს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს გადაფასების ნამატს, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე წელს მიწისა და შენობების აფასებიდან.

4.9 შრომის ანაზღაურება

დასაქმებულთა მოკლევადიანი სარგებელი

მიმდინარე ვალდებულებები დასაქმებულთა მიმართ (რომლებიც ექვემდებარება დაფარვას 12 თვის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მომსახურების გაწევა მოხდება, მაგალითად: ანაზღაურებადი შვებულება და დროებითი უუნარობა ჯანმრთელობის გამო, ბონუსები, არაფულადი სარგებელი დაზღვევის სახით) აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მომსახურების გაწევა მოხდა და არ დისკონტირდება.

სამუშაოზე არ ყოფნის მოსალოდნელი ღირებულება აღიარდება ხარჯად, როდესაც დასაქმებული მიიღებს მომსახურებას, რომელიც ზრდის მის უფლებებს, ან არადაგროვებადის შემთხვევაში, როდესაც ეს მოხდება.

4.10 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა რომ მიმდინარე ვალდებულებების, რომლებიც წარსული ოპერაციების შედეგია, დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა საწარმოდან და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. ხარჯის გაწევის დრო ან მოცულობა შეიძლება არ იყოს განსაზღვრული. მიმდინარე ვალდებულება წარმოიშვება იურიდიული შეთანხმებით, რომელიც წარსული ოპერაციის შედეგს წარმოადგენს, მაგალითად სასქონლო გარანტიები, სასამართლო დავა და ა.შ.

ანარიცხი აღიარდება შეფასებითი თანხით, რომელიც საჭიროა მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად, საანგარიშო თარიღისთვის არსებული ყველაზე სარწმუნო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიმდინარე ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც არსებობს რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, მაშინ რესურსების გადინებისას იგი განიხილება როგორც მთლანი ჯგუფის ნაწილი. ანარიცხები დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე მაშინ, როდესაც ფულის დროითი ღირებულება მნიშვნელოვანია.

მპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ნებისმიერი თანხა, რომელშიც კომპანია დარწმუნებულია რომ მესამე მხარისგან მიიღებს, აღიარდება ცალკე აქტივად. მაგრამ, აღნიშნული აქტივი შეიძლება არ აჭარბებდეს შესაბამის ანარიცხს. ყველა ანარიცხი გადაიხდება ახალ საანგარიშგებო პერიოდში, შესწორდება და მოერგება მიმდინარე საუკეთესო შეფასებას.

როდესაც ეკონომიკურ რესურსებში განივთებული სარგებლის გასვლა, რომელიც გამოწვეულია მიმდინარე ვალდებულებებით, მიიჩნევა ნაკლებ სავარაუდოდ ან დროში მოშორებულად, არანაირი ვალდებულება არ აღიარდება, თუ არ მოხდა საწარმოთა გაერთიანება.

4.11 შემოსავალი

ფასს 15 მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები ასახავს შემოსავლის აღრიცხვის ცალკეულ მოდელს, რომელიც გამომდინარეობს მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან და აღემატება შემოსავლის ამოცნობის სახელმძღვანელოს, რომელიც მოცემულია საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად. იგი აღგენს ხუთსაფეხურიან ახალ მოდელს, რომელიც ქვემოთ იქნება განმარტებული, რომელიც ეხება მომხმარებლებთან ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემოსავალს.

ნაბიჯი 1 განსაზღვრეთ ხელშეკრულება მომხმარებელთან: ხელშეკრულება განისაზღვრება როგორც ხელშეკრულება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც ქმნის აღსრულებულ უფლებებსა და მოვალეობებს და აღგენს კრიტერიუმებს თითოეული მათგანის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

ნაბიჯი 2 კონტრაქტში შესრულებული ვალდებულებების იდენტიფიცირება: ხელშეკრულებაში შესრულების ვალდებულება არის მომხმარებლისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის დაპირება.

ნაბიჯი 3 განსაზღვრეთ გარიგების ფასი: გარიგების ფასი არის იმ თანხის ოდენობა, რომლის გათვალისწინებითაც კომპანია ჰპირდება დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებელზე გადატანის სანაცვლოდ, მესამე მხარის სახელით შეგროვებული თანხების გამოკლებას.

ნაბიჯი 4 გარიგების ფასის გამოყოფა ხელშეკრულებაში შესრულების ვალდებულებებზე: ხელშეკრულებისთვის, თუ ხელშეკრულებას აქვს ერთზე მეტი შესრულების ვალდებულება, კომპანია გარიგების ფასს გამოყოფს თითოეულ შესრულების ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც ასახავს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც კომპანია აპირებს უფლებამოსილებას თითოეული შესრულების ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ.

ნაბიჯი 5 აღიაროს შემოსავალი, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას.

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები საგადასახადო სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით შეთანხმებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადებისა და გადასახადების გამოკლებით.

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

კომპანია აფასებს თავისი შემოსავლის შეთანხმებას კონკრეტული კრიტერიუმების საწინააღმდეგოდ, იმის დასადგენად, ის მოქმედებს როგორც მფლობელი, ან აგენტი და დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს, როგორც მფლობელი, შემოსავლის ყველა ღონისძიებაში.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონლის საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი რისკი და ჯილდოები გადაეცა მყიდველს და კომპანია არ ინარჩუნებს არც მმართველობას იმ ხარისხით, რომელიც ჩვეულებრივ უკავშირდება საკუთრებას და არც რაიმე ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე. მასალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია, როდესაც მომხმარებელმა მიიღო მასალები უდავოდ.

4.12 საოპერაციო ხარჯი

საოპერაციო ხარჯები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მომსახურების მიღების ან მისი წარმოშობის მომენტისათვის.

4.13 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფუძნება 2017 წლის 1 იანვრიდან

არსებული მოგების გადასახადის მოდელის (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და ღარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ოპერაციები, რომელიც განიხილება მოგების განაწილებად (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). 2017 წელს, მოგვიანებით დეკლარირებულ და გადახდილ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადისთვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, გადასახადის კრედიტი ხელმისაწვდომია წინა მოდელის მიხედვით გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი აღიარებულია ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, განურჩევლად გადახდის რეალური თარიღისა და დივიდენდების განაწილების პერიოდისა. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების ოდენობის 15/85.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ იქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული

მპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება ბასს 12-ის შესაბამისად. კომპანიის ხელმძღვანელობა თავიდან შეაფასებს აღნიშნულ საკითხს 2017 წლის 1 იანვრიდან.

4.14 მენეჯმენტის მიერ გაკეთებული საადრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები განუსაზღვრელობაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მენეჯმენტი მოითხოვს, რომ განისაზღვროს დაშვებები, შეფასებები და ვარაუდები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკისა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯებთან დაკავშირებით. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

კომპანიამ თანმიმდევრულად გამოიყენა შეფასებები და დაშვებები, რომლებიც იქნა გამოყენებული 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

შეფასებები და ძირითადი ვარაუდების განხილვა მიმდინარეობს. შეფასებებში გადასინჯვები აღიარებულია პერსპექტიულად.

საექვო ზარალის რეზერვის განსაზღვრა

ყოველი საანგარიშო თარიღისთვის მენეჯმენტი იყენებს მატრიცას სავაჭრო დებიტორული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად. გაუფასურებას სავაჭრო დებიტორული აღიარებით ეყრდნობა ECL.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომლითაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებულ რაოდენობას. ანაზღაურებადი თანხის დასადგენად, მენეჯმენტი აფასებს მომავალ ფულადი სახსრების შემოღინებას თითოეული ფულადი სახსრებისგან და განსაზღვრავს შესაბამის საპროცენტო განაკვეთს, რათა გამოანგარიშდეს ამ ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გაზომვის პროცესში, სავარაუდო ვარაუდობენ მომავალი საოპერაციო შედეგების შესახებ. ეს ვარაუდები ეხება მომავალ მოვლენებსა და გარემოებებს. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს და შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიის აქტივებში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. უმეტეს შემთხვევაში, მოქმედი ფასდაკლების განაკვეთის დადგენა გულისხმობს საბაზრო რისკზე შესაბამისი კორექტირების შეფასებას და აქტივების სპეციფიკური რისკის ფაქტორების შესაბამის კორექტირებას.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადის განსაზღვრა

კომპანიის ხელმძღვანელობა ფინანსური ანგარიშგების ყოველი წარდგენისათვის ახდენს ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადების მიმოხილვას. შენიშვნა 5-ში მოცემულია მისი ანალიზი. რეალური შედეგები, შესაძლოა მომავალში არსებული შედეგებისგან განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

შენობა ნაგებობების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

წლის განმავლობაში საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები ("შენობები") დამოუკიდებლად ფასდება. გადაფასებას ახორციელებს დამოუკიდებელი

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შემფასებელი ექსპერტი („ექსპერტი“) მას შემდეგ, რაც გათვალისწინებულია შესაბამის შენიშვნებში, თვისებები, რომლებიც გავლენას ახდენს თვისებების შეფასებაზე. ექსპერტი იყენებს ბაზარზე არსებულ საუკეთესო მონაცემებს, თუმცა გამოყენებული ვარაუდები ყოველთვის სუბიექტურია.

ექსპერტი იყენებს შემოსავლის მიდგომას, გაყიდვების შედარების მიდგომას ან ღირებულების მიდგომას თვისებების სამართლიანი ღირებულების დასადგენად. შემოსავლის მიდგომის გამოყენებით თვისებების სამართლიანი შეფასებისას, ექსპერტი განიხილავს კომპანიის მიერ გამომუშავებულ ამჟამინდელ საბაზრო ქირას, თუ ქონების გაქირავება ხდება ბაზარზე დაფუძნებული საშუალო ქირით, თუ საკუთრების მფლობელია. ექსპერტი იყენებს ბაზარზე დაფუძნებულ დისკონტირების ფაქტორს, მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად. გაყიდვების შედარების მიდგომის შემთხვევაში, ექსპერტი განიხილავს ბაზარზე არსებულ უახლეს ტრანზაქციებს ბროკერების ან ონლაინ მონაცემთა ბაზის საშუალებით. ჩანაცვლებითი ღირებულების მეთოდით, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება და დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლივობა განიხილებოდა მშენებლობის სამართლიანი ღირებულება. ეს ვარაუდები დეტალურადაა განმარტებული ფინანსური ანგარიშგების მე-21 შენიშვნაში.

5 ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

	მიწა ლარი	შენობა ლარი	მანქანები ლარი	დანადგარი ლარი	ავეჯი ლარი	აქტივის გამოყენების უფლება ლარი	სულ ლარი
2021							
ღირებულება							
1 იანვარი, 2021 წელი	8,628,370	11,145,901	3,801,158	1,575,543	1,009,858	892,715	27,053,545
შემოსვლა	-	-	335,722	568	49,357	94,863	480,510
გასვლა	-	-	(313,050)	-	(1,653)	(110,372)	(425,075)
31 დეკემბერი, 2021 წელი	8,628,370	11,145,901	3,823,830	1,576,111	1,057,562	877,206	27,108,980
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2021 წელი	-	3,350,702	2,239,453	1,513,367	891,479	208,729	8,203,730
პერიოდის ცვეთა	-	348,699	208,410	20,291	29,971	207,109	814,480
გასვლა	-	-	(216,973)	-	(815)	(36,735)	(254,523)
31 დეკემბერი, 2021 წელი	-	3,699,401	2,230,890	1,533,658	920,635	379,103	8,763,687
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2021 წელი	8,628,370	7,446,500	1,592,940	42,453	136,927	498,103	18,345,293

კომპანიამ აღიარა საიჯარო ვალდებულებები ფასს 16-ის „იჯარის“ შესაბამისად, დარჩენილი საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულებით. კომპანიას აღრიცხული აქვს საიჯარო ვალდებულებების ტოლი თანხით გამოყენების უფლების მქონე აქტივი. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 11. გამოყენების უფლების მქონე აქტივი ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებაში შედის შემდეგნაირად:

	2021 ლარი	2020 ლარი
შენობა- ნაგებობა	498,103	683,986
	498,103	683,986

მენეჯმენტის შეფასებით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურება არ მომხდარა (2020: ნული)

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

5 ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

	მიწა ლარი	შენობა ლარი	მანქანები ლარი	დანადგარი ლარი	ავჯი ლარი	აქტივის გამოყენების უფლება ლარი	სულ ლარი
2020							
ღირებულება							
1 იანვარი, 2020 წელი	8,628,370	11,132,278	3,456,939	1,556,821	964,772	352,636	26,091,816
შემოსვლა	-	13,623	461,824	18,722	45,086	707,260	1,246,515
გასვლა	-	-	(117,605)	-	-	(167,181)	(284,786)
31 დეკემბერი, 2020 წელი	8,628,370	11,145,901	3,801,158	1,575,543	1,009,858	892,715	27,053,545
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2020 წელი	-	3,002,484	2,107,539	1,428,603	859,937	70,527	7,469,090
პერიოდის ცვეთა	-	348,218	249,519	84,764	31,542	177,211	891,254
გასვლა	-	-	(117,605)	-	-	(39,009)	(156,614)
31 დეკემბერი, 2020 წელი	-	3,350,702	2,239,453	1,513,367	891,479	208,729	8,203,730
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020 წელი	8,628,370	7,795,199	1,561,705	62,176	118,379	683,986	18,849,815

	2021	2020
	ლარი	ლარი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	33,084	33,324

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ადმინისტრაციული ხარჯი	781,396	857,930
	814,480	891,254

მიწა და შენობები წინა წლებში გადაფასებული იყო. გადაფასება მოხდა 2017 წლის 31 დეკემბერს. გადაფასება ჩაატარა დამოუკიდებელმა კომპანიამ, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება. დაშვებები, რომლებიც გამოიყენა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რათა დაედგინა სამართლიანი ღირებულება, ახსნილია 21 შენიშვნაში. გადაფასება რომ არ მომხდარიყო, ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულება იქნებოდა 5,418,765 ლარი (2020: 5,679,529 ლარი).

შპს დაფნა**ფინანსური ანგარიშგება****ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები****2021 წლის 31 დეკემბერი***(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)***6 მარაგები**

	2021	2020
	ლარი	ლარი
გასაყიდად არსებული საქონელი	13,198,993	12,889,533
რთულად რეალიზებადი და მოძველებული მარაგების ანარიცხი	(275,697)	(210,324)
	12,923,296	12,679,209

მოძრაობა რთულად რეალიზებადი და მოძველებული მარაგების შემდეგნაირია:

	2021	2020
	ლარი	ლარი
1 იანვარი	210,324	269,389
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	(69,082)	-
წლის განმავლობაში ანარიცხის შემცირება	134,455	(59,065)
31 დეკემბერი	275,697	210,324

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც აღრიცხულია ბალანსში მოიცავს შემდეგს:

	2021	2020
	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	16,384,107	12,285,187
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(274,047)	(1,230,516)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	16,110,060	11,054,671
თანამშრომლებზე წინასწარ გადახდილი ავანსები	3,343	347
სხვა მოთხოვნები	13,089	18,347
	16,126,492	11,073,365
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებელთათვის გადახდილი ავანსები	600,845	468,981
საგადასახადო მოთხოვნები	50,927	157,030
წინასწარ გადახდილი დღგ	-	469,511
სხვა გადახდილი ავანსები	36,925	35,581
	688,697	1,131,103
	16,815,189	12,204,468

შპს დაფნა**ფინანსური ანგარიშგება****ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები****2021 წლის 31 დეკემბერი***(ლოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)*

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს გაერთიანებას, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის შემცველი კომპენსაციის შესაასრულებლად დახურვის ნაშთამდე:

	2021	2020
	ლარი	ლარი
1 იანვარი	1,230,516	1,061,033
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	(728,987)	-
ცვლილება წლის განმავლობაში დარიცხული მოთხოვნების	(227,482)	169,483
31 დეკემბერი	<u>274,047</u>	<u>1,230,516</u>

8 დაკავშირებული მხარეები

ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში, კომპანია ოპერირებს სხვა საწარმოებთან ერთად, რომელიც აკმაყოფილებს დაკავშირებული მხარის განმარტებას. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან ხორციელდება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

კომპანიის დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, მმართველ პერსონალს და სხვა კომპანიებს. არც ერთი ოპერაცია არ მოიცავს სპეციალურ პირობებსა და გარემოებებს და შესაბამისად, არც მიღებულ და გაცემულ გარანტიებს.

8.1 ოპერაციები ხელმძღვანელ პირებთან

	2021	2020
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა მოკლევადიანი ანაზღაურება		
- ხელფასები	<u>524,526</u>	<u>482,784</u>

8.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული მნიშვნელოვანი ოპერაციები

	2021	2020
	ლარი	ლარი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
Sun Food LLC – შესყიდვები	63,699,235	72,826,085
Sun Tea Factory LLC – შესყიდვები	3,229,850	-
Azerbaijan Paper and Cardboard Production Plant LLC - შესყიდვები	90,135	-
Agara Sugar Company Ltd – შესყიდვები	2,967,113	9,702,460
Access Trans Georgia Ltd. – შესყიდვები	-	846,678
Soyastar LLC – შესყიდვები	-	-
Agara Sugar Company Ltd – გაყიდვები	142,734	-
Sun Food LLC – გაყიდვები	2,533,773	-
Access Trans Georgia Ltd. – გაყიდვები	5,085	-
Soyastar LLC – გაყიდვები	<u>2,495</u>	<u>-</u>

შპს დაფნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

8.3 დაკავშირებული მხარეებიდან მოთხოვნები

	2021 ლარი	2020 ლარი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
Sun Food LLC	-	1,225,311
	-	1,225,311

8.4 ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან

	2021 ლარი	2020 ლარი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
Sun Tea Factory LLC	1,553,926	-
Sun Food LLC	4,442,911	-
Agara Sugar Company Ltd	316,708	442,615
	6,313,545	442,615

9 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები მოიცავს:

	2021 ლარი	2020 ლარი
ნაღდი ფული	19,544	18,417
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,072,282	1,281,333
	3,091,826	1,299,750

ფულადი სახსრების ანგარიშგების მიზნებისათვის ფულადი სახსრები და ექვივალენტები იგივეა, რაც ზემოთ მოცემული.

10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განაწილებულია აქციონერებს შორის შემდეგნაირად:

	2021 წილი %	2020 წილი %	2021 ლარი	2020 ლარი
Anadolu Investment Company, აზერბაიჯანი	100%	100%	7,500,000	7,500,000
	100%	100%	7,500,000	7,500,000

შპს დაფნა**ფინანსური ანგარიშგება****ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები****2021 წლის 31 დეკემბერი***(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)***11 საიჯარო ვალდებულება**

კომპანიას საიჯარო ვალდებულებები აღრიცხული აქვს ფასს 16 “იჯარა“-ის მიხედვით, დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. მოკლევადიანი იჯარა წარმოდგენილია როგორც საოპერაციო იჯარა, რომელიც განხილულია მე-15 შენიშვნაში, როგორც ქირის ხარჯი.

	2021 ლარი	2020 ლარი
გრძელვადიანი ნაწილი		
საიჯარო ვალდებულება	327,410	520,917
	<u>327,410</u>	<u>520,917</u>
მიმდინარე ნაწილი		
საიჯარო ვალდებულება	206,989	171,754
	<u>206,989</u>	<u>171,754</u>
სულ საიჯარო ვალდებულება	<u><u>534,399</u></u>	<u><u>692,671</u></u>

	1 წლის განმავლობაში ლარი	1 დან 3 წლამდე ლარი	3 დან 5 წლამდე ლარი	5 წლის შემდეგ ლარი	სულ ლარი
31 დეკემბერი, 2021 წელი					
მინიმალური საიჯარო გადახდები	239,664	343,092	8,000	-	590,756
მომავალი ფინანსური ღირებულება	<u>(32,675)</u>	<u>(23,603)</u>	<u>(79)</u>	<u>-</u>	<u>(56,357)</u>
ახლანდელი მინიმალური ღირებულება საიჯარო გადახდები	<u>206,989</u>	<u>319,489</u>	<u>7,921</u>	<u>-</u>	<u>534,399</u>

	1 წლის განმავლობაში ლარი	1 დან 3 წლამდე ლარი	3 დან 5 წლამდე ლარი	5 წლის შემდეგ ლარი	სულ ლარი
31 დეკემბერი, 2020 წელი					
მინიმალური საიჯარო გადახდები	217,719	435,438	141,983	-	795,140
მომავალი ფინანსური ღირებულება	<u>(45,965)</u>	<u>(50,716)</u>	<u>(5,788)</u>	<u>-</u>	<u>(102,469)</u>
ახლანდელი მინიმალური ღირებულება საიჯარო გადახდები	<u>171,754</u>	<u>384,722</u>	<u>136,195</u>	<u>-</u>	<u>692,671</u>

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

12 სესხები

	2021 ლარი	2020 ლარი
მიმდინარე		
სესხები	6,000,000	13,000,000
დარიცხული პროცენტი	22,822	35,616
	6,022,822	13,035,616

2020 წლის 18 დეკემბერს, კომპანიამ საქართველოს ბანკისგან მიიღო სესხი 13,000,000 ლარის ოდენობით, წლიური ფიქსირებული 10%-იანი განაკვეთით. მიმდინარე წლის განმავლობაში კომპანიამ დაფარა 7,000,000 და დანარჩენი სესხის ნაწილი იქნება გადავადებული 2022 წლის 28 იანვრამდე. საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა წლიურ 12.5%-მდე. პროცენტი გადასახდელია ყოველთვიურად. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის შენობით.

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც ასახულია ბალანსში გაშლილია ქვემოთ ცხრილში:

	2021 ლარი	2020 ლარი
ფინანსური ვალდებულება		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,144,147	1,245,870
სხვა ვალდებულებები	412	-
	1,144,559	1,245,870
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	28,156	51,361
	28,156	51,361
	1,172,715	1,297,231

14 გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები

	2021 ლარი	2020 ლარი
ხელფასები	3,425,781	3,158,697
რეკლამის და სხვა წამახალისებელი ღონისძიებების ხარჯები	1,755,687	1,477,992
ტრანსპორტირების ხარჯები	1,163,284	965,586
სხვა ხარჯები	5,024,300	3,925,795
	11,369,052	9,528,070

შპს დაფნა**ფინანსური ანგარიშგება****ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები****2021 წლის 31 დეკემბერი***(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)***15 საერთო ადმინისტრაციული ხარჯები**

	2021 ლარი	2020 ლარი
თანამშრომელთა ხელფასები და სარგებელი	1,243,997	1,107,749
ცვეთა (შენიშვნა 5)	781,396	857,930
ქონების გადასახადი	572,398	495,074
კომუნალური ხარჯები	157,872	116,310
სასაქონლო-მარაგების რეზერვები	134,455	-
რემონტისა და შეკეთების ხარჯები	130,210	110,099
იურიდიული და პროფესიული მომსახურება	111,674	61,953
დაზღვევის ხარჯები	98,649	106,406
კომუნიკაციის ხარჯები	39,154	37,853
ქირა	37,182	33,986
სტაციონარული ხარჯები	34,160	23,913
ბანკის საკომისიო	21,176	85,250
მივლინების ხარჯები	12,751	15,378
წმინდა სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული	4,165	1,679,350
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	77	-
საექვო ვალების რეზერვი (შენიშვნა 7)	-	169,483
სხვა	166,705	590,247
	3,546,021	5,490,981

16 მოგების გადასახადი

საქართველოში მოგების გადასახადის დაბეგვრის მოდელის ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან მოგების გადასახადს დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებაზე და ინდივიდუალურ გარიგებებზე, როგორც მოგების არაპირდაპირი გადანაწილება (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). აღნიშნული ცვლილების გამო, არ იქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში. შესაბამისად, ეფექტური გადასახადი არის იგივე, რაც ოფიციალურადაა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით (15/85).

2021 და 2020 წლების ფინანსური წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ არ გამოცხადებულა ან განაწილებულა არცერთი დივიდენდი და არ არსებობს სხვა გარიგებები, რომლებიც ითვლება მოგების განაწილებად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	2021 ლარი	2020 ლარი
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებებით	(206,955)	110,388

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით	233,941	(15,982)
	26,986	94,406

18 პირობითი აქტივები, პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს ძირითადი კაპიტალი ან პირობითი ვალდებულებები, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020: ნული).

19 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კატეგორიები

საბალანსო ღირებულება აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელიც ასახულია ბალანსში მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

	შენიშვნა	2021 ლარი	2020 ლარი
ფინანსური აქტივები			
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	16,126,492	11,073,365
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	8	-	1,225,311
ფული და მისი ექვივალენტები	9	3,091,826	1,299,750
		<u>19,218,318</u>	<u>13,598,426</u>
ფინანსური ვალდებულებები			
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით			
იჯარის ვალდებულება	11	534,399	692,671
სესხები	12	6,022,822	13,035,616
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,144,559	1,245,870
დავალიანება დაკავშირებული მხარისადმი	8	6,313,545	442,615
		<u>14,015,325</u>	<u>15,416,772</u>

იხილეთ დანართი 4.6 ფინანსური ინსტრუმენტის თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებული საადრიცხვო პოლიტიკის გასაცნობად. კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რისკის დახასიათება, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის მიზანსა და პოლიტიკას მოცემულია დანართ 20-ში. საბაზრო ღირებულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-21 დანართში.

20 ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სხვადასხვა რისკის წინაშე დგას. ძირითადი რისკების ტიპებია: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

20.1 უცხოური სავალუტო კურსი

შპს დაფნა**ფინანსური ანგარიშგება****ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები****2021 წლის 31 დეკემბერი***(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)*

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება გაცვლითი კურსის ცვლილების გამო.

კომპანიის ოპერაციების უმეტესობა ხორციელდება ქართულ ლარში.

კომპანიის მენეჯმენტი არ დებს ფიქსირებულ ხელშეკრულებებს მისი სავალუტო რისკის ჰეჯირების მიზნით, ადგილობრივი ფინანსური ბაზრის არასრულყოფილების გამო. თუმცა, სავალუტო რისკი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არის და საჭიროებისამებრ კეთდება შესაბამისი მაკორექტირებელი შეფასებები, მაგალითად უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივებისა და ვალდებულებების თანხის შესაბამისობაში მოყვანა.

	შენიშვნა	2021			
		ლარი	დოლარი	ევრო	ლარი
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	14,457,068	1,669,424	-	16,126,492
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	8	-	-	-	-
ფულადი საშუალებები	9	2,993,915	97,171	740	3,091,826
		17,450,983	1,766,595	740	19,218,318
ფინანსური ვალდებულებები					
ფინანსური ვალდებულებები (იჯარა)	11	282,860	251,539	-	534,399
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,022,822	-	-	6,022,822
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	13	681,811	462,748	-	1,144,559
ფინანსური ვალდებულებები	8	316,708	5,996,837	-	6,313,545
		7,304,201	6,711,124	-	14,015,325
წმინდა პოზიცია		10,146,782	-	740	5,202,993

	შენიშვნა	2020			
		ლარი	დოლარი	ევრო	ლარი
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,339,667	733,698	-	11,073,365
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	8	-	1,225,311	-	1,225,311
ფულადი საშუალებები	9	1,296,220	3,023	507	1,299,750

შპს დაფნა**ფინანსური ანგარიშგება****ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები****2021 წლის 31 დეკემბერი***(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)*

		11,635,887	1,962,032	507	13,598,426
ფინანსური ვალდებულებები					
ფინანსური ვალდებულებები (იჯარა)	11	536,681	155,990	-	692,671
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	13,035,616	-	-	13,035,616
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	13	584,261	661,609	-	1,245,870
ფინანსური ვალდებულებები	8	442,615	-	-	442,615
		14,599,173	817,599	-	15,416,772
წმინდა პოზიცია		(2,963,286)	1,144,433	507	(1,818,346)

წინამდებარე ცხრილი ასახავს კომპანიის მოგების მგრძნობელობას ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში და ლარი/დოლარის კურსს, მაშინ როდესაც სხვა ყველა პირობა უცვლელია. ის ასახავს ლარი/ დოლარის გაცვლითი კურსის $\pm 15\%$ პროცენტთან ცვლილებას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის (2020: $\pm 15\%$). ანალიზი მოიცავს საანგარიშო პერიოდისთვის კომპანიის უცხოურ ვალუტაში არსებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

თუ ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში გამყარდებოდა 15%-ით (2020: 15%) მისი გავლენა იქნებოდა შემდეგნაირი:

		წლის მოგება
		ლარი
		დოლარი
2021		741,679
2020		(171,665)

თუ ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში შესუსტდებოდა 15%-ით (2020: 15%) მისი გავლენა იქნებოდა შემდეგნაირი:

		წლის მოგება
		ლარი
		დოლარი
2021		(741,679)
2020		171,665

სხვა უცხოური ვალუტის გავლენა უმნიშვნელოა.

20.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ვალდებულებას კომპანიის წინაშე. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი შემოიფარგლება

მპს დაფნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

საანგარიშგებო თარიღისთვის აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით, როგორც განხილულია ქვემოთ:

	2021 ლარი	2020 ლარი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (დანართი 7)	16,126,492	11,073,365
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან (დანართი 8)	-	1,225,311
ფულადი საშუალებები (დანართი 9)	3,072,282	1,281,333
	19,198,774	13,580,009

კომპანია მუდმივად აღევნებს თვალყურს მომხმარებელთა და პარტნიორთა გადახდისუნარიანობას, განიხილავს მათ ინდივიდუალურად ან ჯგუფში და ასახავს მას საკრედიტო რისკის კონტროლში. სადაც შესაძლებელია, გონივრულ ფასად, მოიპოვებს საკრედიტო რეიტინგებს/დასკვნებს. კომპანიის პოლიტიკის პრიორიტეტია საქმე იქონიოს მხოლოდ გადახდის უნარის მქონე მოკავშირეებთან.

კომპანია იყენებს შემწეობის მატრიცას ინდივიდუალური სამომხმარებლო დავალიანების ECL გასაზომად, რაც მოიცავს მცირე ნაშთების დიდ რაოდენობას. კომპანიამ ჩამოაყალიბა დებულების მოდელი და გამოიყენა საშუალო ნავარაუდები განაკვეთები მენეჯმენტის საუკეთესო შეფასებით, მსგავსი საკრედიტო რისკის პროფილის ფინანსური აქტივებისათვის. კომპანია თვლის, რომ მისი ფულად სახსრებს და ფულად ეკვივალენტებს დაბალი საკრედიტო რისკი აქვთ, რომელიც დაფუძნებულია კონტრაგუმენტების საგარეო საკრედიტო რეიტინგებზე. გარდა ამისა, რისკზე ზემოქმედების მართვის მიზნით, კომპანია ათავსებს ფულად სახსრებს რეპუტაციულ ბანკებში.

დაკავშირებული მხარეების გამო თანხები მენეჯმენტმა განიხილა, როგორც სრულად ანაზღაურებადი. არცერთი კომპანიის ფინანსური აქტივი არ არის უზრუნველყოფილი გირაოს ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფის საშუალებით.

20.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, როდესაც მათი დაფარვის დრო დადგება. რისკის შესამცირებლად მენეჯმენტი ახდენს რესურსების დივერსიფიცირებას და ყოველდღიურად მონიტორინგს უწევს მას მომავალი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებისგან მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს ლიკვიდობის რისკის შესაფასებლად. კომპანია ინარჩუნებს ფულადი სახსრების საკმარის ნაშთებს და რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მოთხოვნებს, მენეჯმენტი უზრუნველყოფს საკმარისი თანხების არსებობას სამომავლო ვალდებულებების შესასრულებლად. ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც მოცემულია შენიშვნა 19-ში უნდა იქნას გადახდილი ანგარიშგების შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში და

მპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

წარმოადგენენ უპროცენტო ვალდებულებებს, სესხის ჩაუთვლელად, როგორც ახსნილია შენიშვნა 11-ში და 12-ში.

21 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ბალანსში ასახულია საბაზრო ღირებულებით, იერარქიულად 3 დონეს მოიცავს. აღნიშნული დაჯგუფება განსაზღვრულია საბაზრო ღირებულების დადგენისას მნიშვნელოვანი კომპონენტების დაბალი დონით:

- დონე 1: ქვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;
- დონე 2: კომპონენტი გარდა ქვოტირებული ფასებისა რომელსაც მოიცავს პირველი დონე, რომელიც გარჩევადია აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. ფასიდან გამომდინარე) და;
- დონე 3: კომპონენტები, რომლებიც არ არის გარჩევადი, აშკარა და რომლებზეც დაკვირვება შეუძლებელია ბაზრის მონაცემებიდან გამომდინარე.

მიწა და შენობა

წინა წელს მიწის და შენობების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის (ექსპერტის) მიერ, შემოსავლისა და ბაზარზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით, საქართველოში არსებული ქონების ბაზრის მდგომარეობიდან გამომდინარე. შეაფასა ბაზრის ექსპერტმა და მენეჯმენტის მიერ იქნა მიწოდებული გარკვეული შიდა მონაცემები, შესაბამისად, სამართლიანი შეფასების დონე მე-3 დონეზეა.

შემფასებლის მიდგომა	საბაზრო ღირებულება (დოლარი)	ამოსავალი მონაცემები	ვარაუდები და მონაცემები
შემოსავლის მიდგომა	6,100,000	ქონების გაქირავებით მიღებული რეალური ან მოსალოდნელი შემოსავალი ზრდის განაკვეთი კლების განაკვეთი	საწყობისა და ოფისის შენობის ქირის საბაზრო ღირებულება დადგინდა შესაფერის და შესადარისი ქონების მიხედვით 2.36% წლიურად 13.7%
საბაზრო მიდგომა	936,000	მოსალოდნელი საბაზრო ღირებულება კვადრატულ მეტრზე უძრავი ქონების გაოყენების მიზნობრიობა	კვადრატულ მეტრზე არის 20 აშშ დოლარიდან 615 აშშ დოლარის ფარგლებში. ფასი დამოკიდებულია გამოყენების მიზნობრიობაზე. შერეული მიზნობრიობა
სულ	7,036,000		

22 კაპიტალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგია:

- ფუნქციონირებადობის პრინციპი;
- კარგი საკრედიტო რეიტინგისა და ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნება;
- აქციონერებისთვის შესაბამისი უკუგების უზრუნველყოფა და მათი ღირებულების მაქსიმიზაცია;
- კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება და მისი ღირებულების შემცირება

კომპანია ვარაუდობს ზემოთხსენებული მიზნების მიღწევას მომსახურების ფასდადებისას, თანაზომიერად, რისკის ფაქტორის გათვალისწინებით.

კომპანია აკონტროლებს კაპიტალს, კაპიტალის და გადასახდელი სესხის საანგარიშო ღირებულების საფუძველზე, ნაკლები ფულადი სახსრებით და ფულადი ეკვივალენტებით, როგორც ეს წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის სახით.

კომპანია ადგენს კაპიტალის რაოდენობას მისი მთლიანი დაფინანსების სტრუქტურის შესაბამისად.

კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და აკეთებს ეკონომიკური პირობების ცვლილებით და აქტივების რისკის მახასიათებლებით შესაბამის კორექტირებებს. იმისთვის, რომ შენარჩუნდეს კაპიტალის სტრუქტურა კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს გაცემული დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები, გაყიდოს აქტივები ან შეიძინოს აქციები. საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კაპიტალი მოცემულია ცხრილში:

	2021	2020
	ლარი	ლარი
სულ კაპიტალი	37,138,086	30,790,420
მინუს: ფული და მისი ეკვივალენტები	(3,091,826)	(1,299,750)
	34,046,260	29,490,670
 მთლიანი კაპიტალი	 37,138,086	 30,790,420
სესხები(შენიშვნა 12)	6,022,822	13,035,616
მთლიანი დაფინანსება	43,160,908	43,826,036
 კაპიტალისა და მთლიანი დაფინანსების ფარდობა (კოეფიციენტი)	 79%	 67%

23 ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულების რეკლასიფიკაცია

კომპანიის ვალდებულებების ცვლილებები, რომლებიც გამომდინარეობს ფინანსური საქმიანობიდან, შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგი სახით:

შპს დაფნა
ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარი	მოკლევად იანი სესხი	საიჯარო ვალდებულე ბა	სულ
1 იანვარი 2020 წელი	-	292,885	292,885
ფულადი ნაკადები			
შემოსვლა	13,000,000	-	13,000,000
დაფარვა	-	(179,302)	(179,302)
გადახდილი პროცენტი	-	(53,393)	(53,393)
არაფულადი			
შემოსვლა	-	707,260	707,260
გასვლა	-	(128,172)	(128,172)
დარიცხული პროცენტი	35,616	53,393	89,009
31 დეკემბერი 2020 წელი	13,035,616	692,671	13,728,287
ფულადი ნაკადები			
შემოსვლა			
გადახდა	(7,000,000)	(198,297)	(7,198,297)
გადახდილი პროცენტი	(1,238,924)	(44,175)	(1,283,099)
არაფულადი			
შემოსვლა	-	94,863	94,863
გასვლა	-	(73,637)	(73,637)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	18,799	18,799
დარიცხული პროცენტი	1,226,130	44,175	1,270,305
31 დეკემბერი 2021 წელი	6,022,822	534,399	6,557,221

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, კოვიდ 19 და ომის გავლენა

COVID-19 - ის გავრცელებამ სერიოზულად იმოქმედა მსოფლიოს ბევრ ადგილობრივ ეკონომიკაზე. ბევრ ქვეყანაში, ბიზნესს აიძულებენ შეაჩერონ ან შეზღუდონ ოპერაციები გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ვირუსის გავრცელების შეზღუდვის მიზნით მიიღეს გარკვეული ზომები, მათ შორის მოგზაურობის აკრძალვა, კარანტინი, სოციალური დისტანცირება და გარკვეული სერვისების დახურვა მსოფლიოს მასშტაბით, რამაც შეანელა ეკონომიკური წინსვლა. გლობალურმა საფონდო ბირჟებმა ასევე განიცადეს დიდი ცვლილება და მნიშვნელოვანი შესუსტება. მთავრობამ და ცენტრალურმა ბანკმა ეკონომიკური პირობების სტაბილიზაციის მიზნით, მონეტარული და ფისკალური ჩარევები გადაწყვეტილება მიიღეს. კომპანიის მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება COVID-19-ის (კორონა ვირუსის) ირგვლივ ვითარებას და იღებს ყველა საჭირო ზომას. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე. COVID-19 პანდემიის ხანგრძლივობა და გავლენა, ისევე როგორც სამთავრობო და ცენტრალური ბანკის რეაგირების ეფექტურობა, ამ დროისთვის უცნობია. ცვალებადი გარემოს, პანდემიის ხანგრძლივობის განუსაზღვრელობისა და საკარანტინო რეჟიმის ცვალებადობის გამო

შპს დაფნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს ამ ყველაფრის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე მომავალ პერიოდში.

რუსეთ-უკრაინის ომმა გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე, მათ შორის კომპანიაზეც. უკრაინის შემთხვევაში, მწარმოებლებს შეექმნათ როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე ლოგისტიკური პრობლემები, რამაც გავლენა მოახდინა ჩვენს მარაგებზე იმ მხრივ, სადაც უკრაინიდან გვქონდა მიწოდება. ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში შესაძლებელი გახდა დასავლეთ უკრაინიდან პროდუქციის სახმელეთო ტრანსპორტირება თითქმის ორმაგი ტარიფით, რამაც გამოიწვია წარმოების ხარჯების გაზრდა. რუსეთის შემთხვევაში, კომპანია საწვავის იმპორტს ახორციელებდა და საწვავის ფასი კონფლიქტის დაწყებისას გაიზარდა, ვინაიდან რუსეთიდან მზესუმზირის ზეთის ექსპორტი აკრძალული იყო. ფინანსური სექტორის გადარიცხვის პროცედურები ასევე რთული იყო.

შპს „დაფნა“

მმართველობითი ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1.	2021 წლის საქმიანობის მიმოხილვა.....	1
2.	განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივა.....	4
3.	წარმოებული კვლევები და მისი განვითარება	7
4.	საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)	7
5.	რისკების მიმოხილვა	7

1. 2021 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „დაფნა“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შერეული საკვები პროდუქციის იმპორტი, დაფასოება, რეალიზაცია და დისტრიბუცია. დღეის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია აზერბაიჯანული კომპანია შპს "ანადოლუ ინვესტმენტ კომპანი". კომპანიის დირექტორია ვუგარ არაბოვი.

კომპანია ძირითადად საქმიანობს ვაჭრობის სფეროში, უმთავრესად კი ეწევა შერეული საკვები პროდუქტების დისტრიბუციას. გასაყიდი პროდუქციის 90%-ს შეადგენს იმპორტირებული საქონელი, თუმცა მცირედი ნაწილის შესყიდვა ხდება ადგილობრივ ბაზარზე. 2009 წლიდან კომპანიამ შექმნა საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი და სასაწყობე მეურნეობა. კომპანიის სადისტრიბუციო ქსელი ფარავს არსებული ქართული ბაზრის 90%-ს. ასევე მის კუთვნილებაშია რამდენიმე სარეალიზაციო ობიექტი, რომელთა მეშვეობითაც მთელი ქვეყნის მასშტაბით (თბილისი, ხაშური, თელავი, ქუთაისი, ბათუმი) ახდენს პროდუქციის დისტრიბუციას.

ზემოთ აღნიშნული ფილიალებიდან ხდება შესაბამისი რეგიონების პროდუქტით მომარაგება.

როგორც აღინიშნა, შპს „დაფნა“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შერეული საკვები პროდუქტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა დისტრიბუციის წესით, მათ შორის ისეთი ცნობილი ბრენდების, როგორიცაა Vitam, Final, Teksun, Maryam tea, Azercay. იმპორტირებული პროდუქცია მოიცავს: ბურლულეული (ბრინჯი, წინიბურა, ოსპი, მანანის ბურლული), ხილის კომპოტები, ჯემები, ბოსტნეულის კონსერვები, მწნილები და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას აქვს ქალაქის წარმოების საწარმო, სადაც მზადდება ჰიგიენური დანიშნულების ხელსახოცი და ტუალეტის ქაღალდი. (ბრენდი „Sun“ „bono“ „Aura“).

სპეციალურად საქართველოს ბაზრისათვის შექმნილია ბრენდი “ჩვენი სუფრა“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებლებში. ამ ბრენდის ქვეშ გაერთიანებულია შემდეგი კვების პროდუქტები: მაიონეზი, მარგარინი, ზეთი, ბოსტნეულის კონსერვები, კომპოტები, ბურლულეული, შაქარი, მარილი და ქაღალდის ხელსახოცი.

ასევე კომპანიის მფლობელობაშია 20,000 კვადრატამდე სასაწყობო ფართი, რომელიც გამოიყენება როგორც საკუთარი მომხმარებლისთვის, ასევე იჯარით არის გაცემული სხვადასხვა კომპანიებზე.

შპს „დაფნა“ არის მულტიბრენდული კომპანია, რომელიც მუდმივად ზრუნავს ასორტიმენტის გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე. კომპანიის პორტფელშია 500-მდე დასახელების პროდუქტი. მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნიდან ყოველწლიურად შემოდის სხვადასხვა სახეობის კვების პროდუქტი, მათ შორის ბრინჯი, წინიბურა, მცენარეული წარმოშობის ცხიმები, მარგარინი, სპრედი, მგესუმბირის, სიმინდის და ზეთუნის ზეთები, ჩაი, სოიოს შროტი, ტექნიკური და იოდირებული მარილი, ნატურალური რძე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი სრულად შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს. აღნიშნულ პროდუქციაში სისტემატურად ხდება ტექნიკური მახასიათებლების და GMO-ს შემცველობის გადამოწმება და უნდა აღინიშნოს, რომ შედეგები ყველა შემთხვევაში სრულად აკმაყოფილებდა ევროკავშირის მოთხოვნებს.

შპს „დაფნა“, როგორც მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთი მოწინავე კომპანია საქართველოს დისტრიბუციის და წარმოების სფეროში, მუდმივად არის სიახლეებზე ორიენტირებული, იყენებს უახლეს ტექნოლოგიებს და ტექნიკურ მიღწევებს, რაც სრულიად შეესაბამება წარმოების და გადამუშავების სფეროს თანამედროვე მოთხოვნებს და ევროპული, განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას ნერგავს საქართველოში. კომპანიის საქმიანობის სტაბილურობის ფონზე, 2015 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა სტაბილურია. შპს „დაფნა“-ს მისიიდან გამომდინარე, რაც დასაქმებულთა რაოდენობის სტაბილურობას ითვალისწინებს, მიუხედავად ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობისა მნიშვნელოვნად ჩაენაცვლებინა ფიზიკური შრომა, კომპანიამ მიიღო ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო გადაწყვეტილება და მხოლოდ მინიმალური ოდენობით აისახა

ეს პროცესში თანამშრომელთა რაოდენობაზე. დღეის მდგომარეობით კომპანიის მფლობელობაშია არსებული 80 ერთეული მსუბუქი და სატვირთო ავტომობილი. კომპანიაში დასაქმებულია 250-ზე მეტი ადამიანი. თანამშრომელთათვის ფუნქციონირებს სასადილო და სამედიცინო პუნქტი. გარდა აღნიშნულისა, კომპანიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ქალაქის ნელსაფის ნარმოება (ხელსახოცები და ტუალეტის ქაღალდები), რაშიც დამატებით 30 -მდე ადამიანია დასაქმებული. თავის მხრივ, კომპანიის მისიის შემადგენელი ნაწილია იყოს სტაბილურად მზარდი კომპანია ნარმოების და იმპორტის სფეროში და მის მიმართ ლოიალურად განწყობილი მომხმარებლების მქონე დამსაქმებელი კომპანია საქართველოში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2017 წლიდან კომპანიამ დაიწყო საქონლის ექსპორტზე გატანა და ეტაპობრივად ზრდის ექსპორტის მოცულობას, რასაც თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში და საექსპორტო, ხარისხიანი და მრავალფეროვანი პროდუქციის რაოდენობის ზრდაში. იმის ნათელი მაგალითი კი, რომ კომპანიას წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში არის აგვისტოს ომის პერიოდში კომპანიის მცისიერი გადაწყვეტილება რისკების გათვალისწინებით არათუ შეემცირებინა ან დროებით შეეზღუდა პროდუქციის შემოტანა საქართველოში, არამედ მნიშვნელოვნად გაეზარდა იმპორტირებული პროდუქცია, რათა საქართველოს კვების ბაზარზე არ დამდგარიყო დეფიციტის პრობლემა. ამან მაგალითი მისცა სხვა მსხვილ იმპორტიორებს მსგავსი ქმედებისაკენ, რომ სრული მხარდაჭერა გამოეცხადებინათ ქვეყნისთვის და მოსახლეობისთვის. თავისთავად კომპანიამ თავისი მატერიალური წვლილი შეიტანა 2015 წლის ივნისში წყალდიდობისას თბილისში მომხდარი სტიქიის აღმოსაფხვრელად განხორციელებულ საქმიანობაში. ასევე კომპანიამ თავისი წვლილი შეიტანა 2020-2021 წლებში პანდემიასთან ბრძოლაში, რომლის დეტალები აღწერილია ქვემოთ.

შპს „დაფნამ“ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა სოლიდური თანხა, რათა დახმარებოდა სახელმწიფოს პანდემიასთან ბრძოლაში. გარდა ამისა კომპანიამ აიღო სოციალური პასუხისმგებლობა და მაქსიმალურად შეინარჩუნა არსებული თანამშრომლები. პანდემიის განმავლობაში კომპანია ზრუნავდა ქვეყანაში საკმარისი საჭირო პროდუქტების მარაგების არსებობაზე და მუშაობდა მუდმივ რეჟიმში. კომპანიამ პანდემიის დროს გამოავლინა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და ზრუნავდა როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე მომხმარებლებზე და თავის თანამშრომლებზე.

შპს „დაფნა“ აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და ყოველთვის ზედმინევით ასრულებს ტენდერის პირობებით აღებულ ვალდებულებებს. ამ და ბევრი სხვა ობიექტური მიზეზის გამო, კომპანია შესულია შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა ე.წ. „ოქროს სია“-ში, რაც კომპანიას სტაბილურობის, ზრდისა და განვითარების საშუალებას აძლევს, ხოლო სახელმწიფოს სანდო პარტნიორს სძენს. ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ მომზადებულ რეიტინგში შპს „დაფნა“ მოხვდა დაბალი რისკის ორგანიზაციების კატეგორიაში.

ცხრილში მოცემულია ბოლო ორი წლის განმავლობაში ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები:

ცხრილი #1

	<i>საშემოსავლო</i>	<i>დღგ</i>	<i>სხვა დანარენი</i>	<i>სულ გადახდილია ბიუჯეტში</i>
2021	1,128,500	13,738,246	51,334	14,918,080
2020	1,381,922	12,623,500	94,000	14,099,422

2. განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივა

პანდემიასთან ბრძოლის პირობებში კომპანიის მთავარი მიზანი ბაზარზე სტაბილურობის შენარჩუნებაა, როგორც დამსაქმებლისთვის და ასევე, როგორც ქართული ბაზრის ერთ-ერთი მსხვილი მომწოდებლისთვის.

კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს და განავითაროს მისი პოზიციები ბაზარზე და მზად იყოს ნებისმიერი გამოწვევისთვის.

კომპანია ცდილობს კარგად განსაზღვროს სამომავლოდ მარაგების რაოდენობა, რაც შეიძლება დასჭირდეს, რომ არ დადგეს ბაზარი პროდუქციის დეფიციტის წინაშე.

კომპანიამ კარგად გაართვა თავი ამ ეტაპზე ყველა იმ გამოწვევას, რაც პანდემიამ მოუტანა.

შპს „დაფნა“ არის მულტიბრენდული კომპანია, რომელიც მუდმივად ზრუნავს ასორტიმენტის გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე. კომპანიის ასორტიმენტში ძალიან ბევრი ნატურალური პროდუქტია, რომელიც არ შეიცავს GMO-ს. ეს არის კომპანიის ძლიერი მხარე და ამავდროულად საფრთხედაც კი აღიქმება, რადგან ნატურალური ხშირ შემთხვევაში მალეფუჭებადი პროდუქტებია. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებლებთან სწორი კომუნიკაციის ჩამოყალიბება და ლოიალობის პროგრამის შექმნა.

შპს „დაფნას“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა - მომხმარებლის პრეფერენციებისა და მოლოდინების შესწავლა, რომელიც ხდება როგორც პროდუქციის ტესტირებითა და დეგუსტაციით, ასევე მარკეტინგული კვლევების მეშვეობით, რაც თავის მხრივ კომპანიას ეხმარება პოზიციების გაანალიზებასა და სამომავლო სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბებაში. მუდმივად მზარდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე კომპანიაში გაჩნდა ლოჯისტიკური პრობლემები, რეგიონებში არ ხდება პროდუქციის დროული მიწოდება. ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საოპერაციო ნაწილს, როგორც ლოჯისტიკური ასევე წარმოების და რეალიზაციის კუთხით. იგეგმება ლოიალობის პროგრამის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს კლიენტებზე მუდმივ ზრუნვას და მათი მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას სხვადასხვა აქციების, ფასდაკლებების, გათამაშებების, საჩუქრებისა და პერსონალური კომუნიკაციის მეშვეობით, რაც თავის მხრივ გაზრდის ლოიალური მომხმარებლების რაოდენობას და ხელს შეუწყობს კომპანიის მიზნების განხორციელებას იყოს ნატურალური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი იმპორტირებული პროდუქციის ლიდერი კომპანია ქართულ ბაზარზე.

კოვიდ 19-ის გავლენა კომპანიის ბიზნესზე და მასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები

2021 წელს პანდემიის პერიოდში კომპანია იცავდა მთავრობის რეკომენდაციებს. პანდემიის გამოცხადებისთანავე COVID-19-ის პრევენციის მიზნით მოწვეულ იქნა ევექსის ლაბორატორია და ჩატარდა თანამშრომლების კვლევა. გარდა ამისა, კომპანიის ადმინისტრაცია და ყველა ის

თანამშრომელი, რომლის საქმიანობაც შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო დისტანციურად, გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. დისტრიბუტორებისა და საწყობის თანამშრომლებისთვის კი, რომლებსაც სჭირდებოდათ ფიზიკურად ადგილზე ყოფნა, დაცული იყო უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმები. მაქსიმალურად იყო შემცირებული ფიზიკური კონტაქტი იმ თანამშრომლებს შორის, რომელთა საქმიანობასაც ამით ხელი არ ეშლებოდა. დისტრიბუტორები ჩვეულ რეჟიმში აგრძელებდნენ მუშაობას ყველა ჰიგიენური ნორმისა და მთავრობის რეკომენდაციის დაცვით. ამ ეტაპზე კომპანია აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას და ყველა თანამშრომელი მუშაობს თავისი სამუშაო ადგილიდან. მხოლოდ ის თანამშრომლები, რომლებსაც შესაძლოა აღენიშნებოდათ ვირუსისთვის დამახასიათებელი ნიშნები განაგრძობენ დისტანციურად მუშაობას.

კომპანიამ პანდემიის პერიოდში მოახერხა როგორც ყველა თანამშრომლის შენარჩუნება, ასევე მათი ანაზღაურების შენარჩუნება და სტაბილურად ფუნქციონირების გაგრძელება. შპს „დაფნა“ გეგმავს არსებული რაოდენობის მაქსიმალურად შენარჩუნებას.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა კომპანიის ბიზნესზე

რუსეთ-უკრაინის ომმა, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე ჩვენ კომპანიაზეც იქონია გავლენა. უკრაინის შემთხვევაში მწარმოებლებს შეექმნათ ადგილობრივი წარმოების პრობლემა. ასევე პრობლემები შეიქმნა ლოჯისტიკის კუთხით, რაც გავლენა მოახდინა ჩვენს მარაგებზე იმ ნაწილში, რომელშიც ვმარაგდებოდით უკრაინიდან. ერთეულ შემთხვევებში ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში შესაძლებელი გახდა დასავლეთ უკრაინიდან თითქმის გაორმაგებული ტარიფით სახმელეთო გადაზიდვის განხორციელება, რამაც ავტომატურად გააძვირა პროდუქციის ღირებულება. რუსეთის შემთხვევაში ჩვენი კომპანია ახორციელებდა ზეთის იმპორტს და ომის დაწყებისთანავე ზეთის ფასმა კატასტროფულად მოიმატა და ასევე დაწესდა რუსეთიდან აკრძალვა მზესუმზირის ზეთის ექსპორტზე. ასევე გართულდა საბანკო სფეროში გადარიცხვების პროცედურა.

3. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება

ყოველწლიურად კომპანია ატარებს ბაზრის კვლევას, რომლის მიზანია ძირითადი ქსელური მარკეტების მიმოხილვა. კვლევის შედეგად შევისწავლეთ სამომავლო ტენდენციები, ფინანსური მაჩვენებლები და შევაფასეთ ბაზრის მიზიდველობა. კვლევა ჩატარდა „Galt & Taggart“-ის მიერ.

ასევე კომპანია ატარებს უშუალოდ მარკეტინგულ კვლევას, შეისწავლის მომხმარებლის პრეფერენციებს, ძირითად მოთხოვნებს და ინტერესებს. კვლევა ტარდება “IPM”-ის მიერ ფოკუსური ჯგუფების მეთოდით.

2021-ში მარკეტინგული კვლევები ჩატარდა ყავის კატეგორიისთვის, რადგან კომპანია აპირებს ყავის ასორტიმენტის დამატებას.

სტანდარტის შესაბამისი სამუშაოების ჩატარების შემდეგ დავწერგეთ Food Safety System Certification 22000 (FSSC 22000, version 5.1) - ხელსახოცების წარმოებისათვის.

4. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)

ბოლო ორი წლის განმავლობაში (2020-2021) არ ყოფილა ცვლილებები საწესდებო კაპიტალში და არ ყოფილა აქციების გამოშვება-გამოსყიდვა.

5. რისკების მიმოხილვა

კომპანიისთვის დამახასიათებელია მიმდინარე რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი და სავალუტო კურსი. ვინაიდან 2021 წლის განმავლობაში ვალუტის კურსი განიცდიდა ხშირ და სწრაფ ცვალებადობას, კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ამ რისკის კონტროლი და სამომავლოდ გეგმავს ამ რისკის სტაბილურობისთვის გეგმის შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ კომპანია უცხოელი მომწოდებლებისგან პროდუქციას იღებს დოლარში, რაც განაპირობებს სავალუტო რისკის ზრდას.

კომპანიას არ გააჩნია მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება. შემოსავალი და ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დამოკიდებულია ბაზრის გავლენაზე. საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა შემოიფარგლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით. კომპანია მუდმივად თვალყურს ადევნებს მომხმარებელთა და პარტნიორთა გადახდისუნარიანობას, განიხილავს მათ ინდივიდუალურად ან ჯგუფში და ასახავს საკრედიტო რისკის კონტროლში. ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ეხება მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის პროცენტს, მენეჯმენტი განიხილავს საკრედიტო ხარისხს მოთხოვნებისა, რომლებიც არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული. ლიკვიდობის რისკის შესამცირებლად მენეჯმენტი ახდენს რესურსების დივერსიფიცირებას და ყოველდღიურად მონიტორინგს უწევს მათ მომავალი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებისგან მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს ლიკვიდობის რისკის შესაფასებლად. არსებული ლიკვიდური სახსრები აღემატება მოთხოვნას ფულად გასაღებზე.

ცხრილში მოცემულია 2020-2021 წლის ფინანსური კოეფიციენტები

ცხრილი #2

წლები	2021	2020
EBITDA MARGIN	0.08	0.05
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	2.35	1.83
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.44	0.99
მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი	7.12	7.95

თარიღი: 03/06/2022

შპს „დაფნა“-ს დირექტორი

ვუგარ არაბოვი



კომპანიას არ გააჩნია მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება. შემოსავალი და ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დამოკიდებულია ბაზრის გავლენაზე. საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა შემოიფარგლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით. კომპანია მუდმივად თვალყურს ადევნებს მომხმარებელთა და პარტნიორთა გადახდისუნარიანობას, განიხილავს მათ ინდივიდუალურად ან ჯგუფში და ასახავს საკრედიტო რისკის კონტროლში. ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ეხება მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის პროცენტს, მენეჯმენტი განიხილავს საკრედიტო ხარისხს მოთხოვნებისა, რომლებიც არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

ლიკვიდობის რისკის შესამცირებლად მენეჯმენტი ახდენს რესურსების დივერსიფიცირებას და ყოველდღიურად მონიტორინგს უწევს მათ მომავალი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებისგან მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებს ლიკვიდობის რისკის შესაფასებლად. არსებული ლიკვიდური სახსრები აღემატება მოთხოვნას ფულად გასაღებებზე.

ცხრილში მოცემულია 2020-2021 წლის ფინანსური კოეფიციენტები

ცხრილი #2

წლები	2021	2020
EBITDA MARGIN	0.08	0.05
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	2.35	1.83
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.44	0.99
მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი	7.12	7.95

თარიღი: 03/06/2022

შპს „დაფნა“-ს დირექტორი

ვეგარ არაბოვი